# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 200

“19” მაისი 2023 წ

ქ. თბილისი

**სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ. 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ. 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №ბ61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხების შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, აგრეთვე, „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №ბ61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.573.638 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარისფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №ბ61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.573.638 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხზე, ბანკომატებისა და ბანკის სერვის ცენტრის ფუნქციონირების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული დანართი №1-ის შესაბამისად.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 51 120 (ორმოცდატერთმეტი ათას ასოცი) ლარის ოდენობით.

3. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №861.01182883 ბრძანებითა და მასზე თანდართული საიჯარო პირობებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით, კერძოდ, სარგებლობის ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს (ჯამში - 3535 ლარის ოდენობით) გადახდისაგან გათავისუფლების საკითხზე.“

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე